



ბრძანება

N 104

04/02/2020

შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“ (ს/ნ 427722388; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N16) წარმოადგენს აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ - რეესტრი) რეგისტრირებულ პირს სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-788671.

შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის (შემდგომ - სამსახური) წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2019 წლის 08 ნოემბრამდე.

2019 წლის 19 დეკემბერს აუდიტორული ფირმას ჩაბარდა სამსახურის წერილი N16/136257, რომლითაც შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ს განესაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის. სამსახურისთვის ზემოაღნიშნული ინფორმაცია აუდიტორული ფირმის მიერ დღემდე არ არის წარდგენილი.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-17 მუხლის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.“

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა. სამსახურისთვის წარდგენილი


დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ვადა განისაზღვრებოდა 2019 წლის 08 ნოემბრამდე, ხოლო განახლებული პოლისი სამსახურისათვის წარდგენილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უწყვეტობის მოთხოვნა, რაც იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. დაევალოს შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ს წარმოადგინოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია 05 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მიღებულ იქნას აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში შპს „აუდიტორული კომპანია ე-ენდ-ეს“-ის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

